OPEN SOCIETY FOUNDATIONS

IDFI INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

საერთაშორისო კონფერენცია

პრეს-რელიზი

13 მაისს, 10:00 - 18:00 საათზე, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ (თავისუფლების მოედანი 4, თბილისი) ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) მხარდაჭერით მასპინძლობს კონფერენციას: *„სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.“*

კონფერენციაში მონაწილე შესყიდვების თემაზე მომუშავე საერთაშორისო ექსპერტები, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნიდან (უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) წარმოადგენენ ამ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასების შედეგებს, იმსჯელებენ არსებულ პრობლემებსა და მათ მოგვარების გზებზე. ღონისძიებაზე ასევე გაიმართება ახალი ვებგვერდის - სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობების რეიტინგის პრეზენტაცია.

შეხვედრას გახსნიან IDFI-ის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კლდიაშვილი და ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის მენეჯერი თინათინ ბოლქვაძე.

კონფერენცია წარიმართება სესიების ფორმატში (სულ 3 სესია). პირველ სესიაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლები წარმოადგენენ კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასების შედეგებს. მეორე სესიაზე მონაწილეები ისაუბრებენ ევროკავშირის შესყიდვების დირექტივებთან ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაციის პროცესსა და მნიშვნელობაზე. მესამე სესია მთლიანად დაეთმობა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ღია მონაცემების არსებობის საკითხსა და მათ მნიშვნელობა (იხილეთ თანდართული დღის განრიგი).

FREEDOM OF INFORMATION CENTER OF ARMENIA

TRANSPARENCY INTERNATIONAL UKRAINE

TRANSPARENCY AZERBAIJAN

bipart Belarusian institute for Public Administration Reform and Transformation

Expert-Grup Independent Think-Tank

to do club

TPPR

Transparent Public Procurement Rating

www.tpp-rating.org - ვებგვერდის შესახებ:

ორენოვანი (ინგლისურ-რუსულ) ვებგვერდის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შეფასება და რეიტინგის წარმოდგენა. ქვეყნების შესადარებლად ვებგვერდი იყენებს მარტივ, ინტერაქტიულ ვიზუალიზაციებს. შედარებითი მონაცემების გარდა, თითოეული ქვეყნის შემთხვევაში ასევე შესაძლებელია შესყიდვების კანონმდებლობისა და მათი აღსრულების შესახებ ექსპერტული შეფასებისა და რეკომენდაციების გაცნობა.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

მერი მახარაშვილი, კომუნიკაციების & ორგანიზაციული განვითარების გრანტის მენეჯერი

მის: ალ. გრიბოედოვის 3, თბილისი 0108, საქართველო.

ტელ: + 995 32 1 92 15 14; მობ: +995 599 50 01 37

ელ-ფოსტა: m.makharashvili@idfi.ge; info@idfi.ge